2001

ევროპარლამენტის <u>**რეზოლუცია**</u> **რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით**

ევროპარლამენტი ითვალისწინებს საქართველოსა და რუსეთსში არსებული სიტუაციის შესახებ მიღებულ რეზოლუციებს და განსაკუთრებით 2000 წლის 13 დეკემბერის რეზოლუციას;

ითვალისწინებს ევროკავშირ-საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის 2000 წლის 9 მაისის დეკლარაციას;

ითვალისწინებს გაეროს უშიშროების საბჭოს 2000 წლის 14 ნოემბრის განცხადებას;

ითვალისწინებს ევროკავშირის საბჭოს თავჯდომარის 2000 წლის 23 ნოემბრის განცხადებას;

ითვალისწინებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2000 წლის 7 დეკემბრის განცხადებას და

ა) უდიდესი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ჯერაც არ არის მიღწეული საქართველოში, ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში. შიდა კონფლიქტების ყოვლისმომცველი პოლიტიკური გადაწყვეტა;

ბ) აღიარებს, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში მოუგვარებელი კონფლიქტები აფერხებს ეკონომიკურ განვითარებასა და პოლიტიკურ სტაბილურობას როგორც საქართველოში, ასევე მთლიანად რეგიონში;

გ) ცნობს, რომ ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის კონფლიქტის მონაწილე მხარეებსა და მედიატორებს მეტი ძალისხმევა მართებთ კონფლიქტების პოლიტიკური გზით მოგვარებისათვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის გათვალისწინებით;

დ) აღნიშნავს, რომ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა და ქვეყანაში იძულებით ადგილნაცვალ პირთა უპირობო დაბრუნებისათვის უნდა შეიქმნას უსაფრთხოების გარანტიები;

ე) გამოთქვამს წუხილს, რომ ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი დე-ფაქტო მოქცეულია საქართველოს იურისდიქციის, დემოკრატიის, ადამიანთა უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების ფარგლებს გარეთ, რასაც აღიარებს საქართველო ევროპის საბჭოში სრულუფლებიანი წევრობით და რისი ხელყოფაც ხდება ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე;

ვ) ამ კონტექსტით გამოხატავს შეშფოთებას ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის, განსაკუთრებით საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომელთა და საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის (UNOMIG) პერსონალის უსაფრთხოების გამო;

ზ) მიესალმება ევროკომისიის ძალისხმევას კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის ნდობის გაღრმავებისათვის, რაც ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთის საზღვარზე მდებარე ენგურჰესის აღდგენასთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო პროგრამების მეშვეობით ხორციელდება

თ) მხარს უჭერს ყველა ინიციატივას, რომელთა მიზანია მეგობრული და კონსტრუქციული მეზობლური ურთიერთობის, ასევე კავკასიაში რეგიონალური თანამშრომლობის განმტკიცება

ი) ცნობს, რომ საქართველოსა და ევროკავშირის მომავალი, დაახლოება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში, ასევე მთლიანად კავკასიის რეგიონის სტაბილურობაში

კ) ითვალისწინებს ევროპაშო ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის სამიტის რეზოლუციას და შეტანხმებას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო შენაერთების გაყვანის თაობაზე;

ლ) შეშფოთებას გამოთქვამს 2000 წლის 5 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ სავიზო რეჟიმის ცალმხრივად შემოღების გამო, რაც უფრო გაართულებს მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას, ზიანს მიაყენებს ეკონომიკურ ურთიერთობებს და ცხოვრებას გაურთულებს რუსეთის ფედერაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, და ასევე საქართველოში მცხოვრებ იმ მოქალაქეებს, რომელთა არსებობაც დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ნათესავების მიერ გამოგზავნილ დახმარებაზე;

1) მიუთითებს, რომ სავიზო რეჟიმის შემოღება, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სუვერენული სახელმწიფოს უფლებაა, მაგრამ საქართველოს მოქალაქეების მიმართ მოქმედი სავიზო რეჟი-

მიდან სეპარატისტული რეგიონების ცხინვალისა და აფხაზეთის გამოყოფა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის (რასაც რუსეთის ფედერაციის მთავრობა ოფიციალურად უჭერს მხარს) ხელყოფად აღიქმება და მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის მთავრობას გადასინჯოს ეს გეგმები და გაითვალისწინოს, რომ ისინი შესაძლოა საქართველოს უდავო ტერიტორიების დე-ფაქტო ანექსიად აღიქვან...

2) მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის მთავრობას, შეაჩეროს საქართველოს მიმართ შემოღებული სავიზო რეჟიმის მოქმედება, იმ წარმოქმნილ სიძნელეთა გამო, ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომ განიცდიან.

3) აღნიშნავს, რომ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მცხოვრებთათვის საზღვრის გადაკვეთის გამარტივებული პროცედურების ცალმხრივად შემოღებით რუსეთის ფედერაცია საეჭვოს ხდის თავის, როგორც ამ კონფლიქტების მედიატორის, როლს;

4) მოუწოდებს ყველა მხარეს თავი შეიკავონ და არ მიმართონ არასასურველ საპასუხო ქმედებებს, რამაც შესაძლოა გაართულოს ისედაც არასტაბილური მდგომარეობა და გამოავლინოს აუცილებელი პოლიტიკური ნება, რათა მნიშვნელოვანი პროგრესი იყოს მიღწეული, მოლაპარაკებაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის გათვალისწინებით.

5) მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, როგორც გადაუდებელი ღონისძიება, პატივი სცეს ეუთოს ფარგლებში 1999 წელს სტამბოლში მიღწეულ შეთანხმებას საქართველოს ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის შესახებ;

6) მხარს უჭერს აფხაზეთში გაეროს სამშვიდობო პროცესსა და ეუთოს ძალისხმევას, რათა გაფართოვდეს ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის კონფლიქტის მონაწილე მხარეთა დიალოგი და პირდაპირი კონტაქტები;

7) მოუწოდებს შვედეთის თავჯდომარეობით მოქმედ ევროკავშირის საბჭოს, აქტიურად დაუჭიროს მხარი ყოველგვარ ძალისხმევას ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთის კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარებისათვის. ასევე მოელის ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შვედეთის მხარის ანგარიშს საქართველო_ევროკავშირის საპარლამენტო კომიტეტის მესამე შეხვედრაზე, რომელიც დაგეგმილია 2001 წლის 18-19 ივნისს ბრიუსელში. ამავე დროს, სთხოვს მიაწოდოს მოსაზრებანი საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების შესახებ.

8) მოუწოდებს ევროკავშირის საბჭოს, ამასთან დაკავშირებით გაითვალისწინოს კავკასიაში სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესაძლებლობა, რათა უფრო მეტად გამოჩნდეს რეგიონში ევროკავშირი და უზრუნველყოფილ იქნას დიალოგი არსებული კონფლიქტების მონაწილე ყველა მხარეს შორის.

9) ავალებს ევროპარლამენტის პრეზიდენტს, გადაუგზავნოს წინამდებარე რეზოლუცია ევროკავშირის საბჭოს ევროკომისიას, ეუთოს, საქართველოს და რუსეთის ფედერაციის მთავრობებსა და პარლამენტებს.

დამტკიცებულია 2001 წლის 18 იანვარს.

(გაზეთი "სახალხო გაზეთი", #213, 2001 წლის 25-31 იანვარი)